



10972/4-2/21 2 05112021

10972/4-2/21
05-11-2021

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ განხორციელდა საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დაკავება, რომელიც განთავსებული იქნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის N12 დაწესებულებაში.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, პოლიტიკოსების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლების მხრიდან პერმანენტულად ვრცელდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის, პატიმრის უფლებებისა და მათი განხორციელების მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მაქსიმალურად მოკლე დროში მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილის პატიმრობის თაობაზე:

- 1) რა სამართლებრივი სტატუსით იმყოფება მიხეილ სააკაშვილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურის შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში?
- 2) რა მდგომარეობაა საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებული ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებების განხორციელების კუთხით, კერძოდ:

- ა) როგორია პატიმრის საცხოვრებელი პირობები და დაფიქსირდა თუ არა მისი ან მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მხრიდან საჩივარი აღნიშნული მიმართულებით?
- ბ) სარგებლოს თუ არა პატიმარი მიმოწერის უფლებით და დაფიქსირდა თუ არა მისი ან მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მხრიდან საჩივარი აღნიშნული მიმართულებით?
- გ) სარგებლობს თუ არა პატიმარი პაემნის (ხანმოკლე პაემანი, ვიდეოპაემანი, ხანგრძლივი პაემანი, საოჯახო პაემანი) უფლებით და დაფიქსირდა თუ არა მისი ან მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მხრიდან საჩივარი აღნიშნული მიმართულებით?
- დ) სარგებლოს თუ არა პატიმარი იურიდიული დახმარების უფლებით და დაფიქსირდა თუ არა რაიმე შეფერხება ამ მიმართულებით, ასევე პატიმრის ან მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მხრიდან საჩივარი აღნიშნული მიმართულებით?
- ე) სარგებლოს თუ არა პატიმარი სატელეფონო საუბრის, ამანათისა და ფულადი გზავნილის მიღება-გაგზავნის უფლებით და დაფიქსირდა თუ არა მისი ან მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მხრიდან საჩივარი აღნიშნული მიმართულებით?
- ვ) აქვს თუ არა წვდომა პატიმარს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე და დაფიქსირდა თუ არა მისი ან მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მხრიდან საჩივარი აღნიშნული მიმართულებით?
- ზ) რა მდგომარეობაა პატიმრის პირადი ჰიგიენის კუთხით და დაფიქსირდა თუ არა მისი ან მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მხრიდან საჩივარი აღნიშნული მიმართულებით?
- თ) რამდენად არის უზრუნველყოფილი სპეციალური პენიტენციური სამსახური შესაბამისი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალით, მედიკამენტებით და სამედიცინო აპარატურით, პატიმრისთვის, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი, ჯეროვანი სამედიცინო დახმარების გასაწევად? დაფიქსირდა თუ არა პატიმრის ან მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მხრიდან საჩივარი აღნიშნული მიმართულებით?
- ი) სარგებლობს თუ არა პატიმარი პატიმრობის კოდექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებული სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლებით და დაფიქსირდა თუ არა მისი ან მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მხრიდან საჩივარი აღნიშნული მიმართულებით?

- კ) იმყოფება თუ არა პატიმარი არათანაბარ მდგომარეობაში ანალოგიური სამართლებრივი სტატუსის მქონე სხვა პატიმრებთან შედარებით? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ დეტალურად გვაცნობოთ ასეთი არათანაბარი მოპყრობის მიზეზები.
- 3) დაფიქსირდა თუ არა აღნიშნული პატიმრის ან მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მხრიდან საჩივარი სხვა რომელიმე უფლების დარღვევის მიმართულებით? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ დეტალური ინფორმაცია აღნიშნული საჩივრისა და შესაბამისი ნაბიჯების შესახებ, რაც გადაიდგა საჩივარზე რეაგირების მიზნით.
- 4) მე-2 პუნქტის ა-კ პუნქტებში, ასევე მე-3 პუნქტში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით პატიმრის ან მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის საჩივრის არსებობის შემთხვევაში, რამდენ შემთხვევაში დადასტურდა საჩივრის საფუძვლიანობა და რა სახის ზომები იქნა მიღებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად?
- 5) გამოყენებული იქნა თუ არა პატიმრის მიმართ პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე შემზღუდველი ღონისძიება? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ გვაცნობოთ შეზღუდვის არსი და მისი გამოყენების საფუძველი.
- 6) როგორია პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად (შიმშილობიდან გამომდინარე)?
- 7) რამდენად გაზრდილია შიმშილობიდან გამომდინარე ჯანმრთელობის მოსალოდნელი გაუარესებისა და საგანგებო სპეციალური სამედიცინო ჩარევის აუცილებლობა (იმის მხედველობაში მიღებით, რომ გამოითქმის მოსაზრებები შიმშილობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე ვითარების სწრაფად გაუარესების რისკების შესახებ)? აქვე, გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ, რომ გამოითქმის მოსაზრებები შიმშილობის მაქსიმალურად დასაშვები ხანგრძლივობის შესახებ. ამავე პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ პატიმარმა შეიძინა გარკვეული პროდუქტები, ასევე, რომ მოხდა ექიმების მიერ რეკომენდირებული გარკვეული პრეპარატების მიღება, რაც შეიძლება გავლენას ახდენდეს იმ ვადებზე, რომლის შემდეგაც მოსალოდნელია მოშიმშილის ჯანმრთელობის გაუარესება. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება ფლობდეს ამ საკითხების ირგვლივ მაქსიმალურად სრულ ინფორმაციას.

- 8) რამდენად არსებობს პატიმრის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის აუცილებლობა?
- 9) რამდენად შესწავლილია პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაძლო გართულებების რისკები (შიმშილობიდან გამომდინარე)?
- 10) მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ასევე 6-9 პუნქტებში მითითებული საკითხების თაობაზე ინფორმაციის მოწოდებისას, გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი არგუმენტაციისას გამოყენებული მასალებიც, რათა გვქონდეს საკითხის შეფასებისთვის აუცილებელი მასალების ანალიზის შესაძლებლობა.
- 11) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაძლო გართულების გამო პატიმრის იმ პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, რომლის ფუნქციაც არის სამკურნალო მომსახურებით პატიმართა უზრუნველყოფა, რამდენად არის უზრუნველყოფილი ადექვატური და სათანადო, ჯეროვანი სამედიცინო სერვისის მიწოდება, ასევე სამართლებრივი და ფაქტობრივი გარანტიები პატიმრის უსაფრთხოებისა და სხვა უფლებების დაცვისათვის.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე



საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge



KA010179113741421

№14548

05 / ნოემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის
ადამიანის უფლებათა დაცვისა და
სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის
თავმჯდომარეს,
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

თქვენი ამა წლის 5 ნოემბრის №10972/4-2/21 მომართვის პასუხად გიგზავნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერა/
მთავრობის
გამგზავნა



რატი ბრეგაძე



**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი**

**MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA
DIRECTOR GENERAL OF THE SPECIAL PENITENTIARY SERVICE**



KA010186406727921

0186, ქ. თბილისი ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N27, საქართველო
N27, Zurab Anjaparidze str, Tbilisi, 0186, Georgia, www.sps.gov.ge
ტელ./Tel.: (995 32) 2312734

№264968/01

05 / ნოემბერი / 2021 წ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

საქართველოს პარლამენტის წევრის ბატონი მიხეილ სარჯველაძის ამა წლის 5 ნოემბრის 10972/4-2/21 სადეპუტატო კითხვის პასუხად, გაცნობებით შემდეგს:

1) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების - საქართველოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის N12 დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილი იმყოფება ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამართლებრივი სტატუსით.

2) საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებულისა და მსჯავრდებულის უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით გაცნობებთ:

ა) პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლების დღიდან პატიმრის საცხოვრებელი პირობები სრულ შესაბამისობაშია იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილ სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებთან და სრულად შეესაბამება წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებს;

ბ) პატიმარი სარგებლობს მიმოწერის უფლებით;

გ) პატიმრობის კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბრალდებული მიხეილ სააკაშვილი სარგებლობს ხანმოკლე პაემნის უფლებით. გარდა ამისა, პატიმრობის პერიოდში, 5 ნოემბრის მდგომარეობით, მასთან განხორციელდა 159 ვიზიტი;

დ) პატიმარი შეუფერხებლად სარგებლობს იურიდიული დახმარების უფლებით და ყოველდღიურად არაერთ მეწვედრას მართავს ადვოკატებთან. კერძოდ, 2021 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით გაიმართა 75 მეწვედრა ადვოკატებთან;

ე) პატიმრობის კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესით, მიხეილ სააკაშვილს შეეზღუდა სატელეფონო საუბრის უფლება. ამანათისა და ფულადი გზავნილის მიღება-გაგზავნის უფლებით პატიმარი სარგებლობს შეუზღუდავად;

ვ) პატიმარს აქვს წვდომა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე;

ზ) სპეციალური პენიტენციური სამსახურის N12 დაწესებულებაში, ისევე როგორც ყველა სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ნორმების სრული დაცვა. შესაბამისად, პატიმრის პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული მდგომარეობა სრულად პასუხობს დადგენილ სტანდარტებს.

თ) N12 პენიტენციურ დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, რომელიც

აღჭურვილია ამბულატორიული ტიპის სამედიცინო დაწესებულებისთვის აუცილებელი სამედიცინო აპარატურით; დაწესებულება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური მედპერსონალითა და შესაბამისი მედიკამენტებით, რაც აუცილებელია პათიმრისათვის ჯეროვანი სამედიცინო დახმარების გასაწევად. გარდა ამისა, პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე 24 საათის განმავლობაში იმყოფება რეანიმობილი და პენიტენციური დაწესებულების კვალიფიციური პერსონალის გარდა, მორიგეობს კატასტროფის ბრიგადა, რომლის შემადგენლობაშია ექიმი-რეანიმატოლოგი;

ი) მიხეილ სააკაშვილს აქვს პათიმრობის კოდექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებული სუფთა პაერზე ყოფნის უფლება. თუმცა, საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე პათიმარს ამ დრომდე სსენებული უფლებით არ უსარგებლია;

კ) მიხეილ სააკაშვილი იმყოფება ყველა სხვა ანალოგიური სამართლებრივი სტატუსის მქონე ბრალდებულის/მსჯავრდებულის თანაბარ პირობებში.

3) პათიმრის ადვოკატის მიერ წერილობითი საჩივარი შემოტანილ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ბრალდებულ/მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის სამოქალაქო სექტორის კლინიკაში გადაყვანასთან დაკავშირებით. საჩივარი სამინისტროდან განსახილველად გადაგზავნილ იქნა უფლებამოსილ პირთან, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორთან. გენერალური დირექტორის არგუმენტირებული პასუხით პათიმრის ადვოკატს პასუხი გაეცა საჩივარში დაფიქსირებულ მოთხოვნებთან მიმართებით, აგრეთვე, განემარტა სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობის შესახებ. წერილობითი საჩივარი შემოვიდა, ასევე, არსებული გამყოფი ბარიერის გაზრდასთან დაკავშირებით, რის პასუხადაც, ადვოკატებს განემარტა ამ ქმედების საფუძვლები. სხვა საკითხებზე წერილობითი საჩივრები არ დაფიქსირებულა.

4) პათიმრის ადვოკატების მიერ წარდგენილი მოთხოვნების/საჩივრების საფუძვლიანობა არცერთ შემთხვევაში არ დადასტურებულა.

5) პათიმრის მიმართ პათიმრობის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე შეზღუდვა არ გამოყენებულა, გარდა წინამდებარე წერილის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში მითითებული შემზღუდველი ღონისძიებისა.

6) საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი კონსილიუმის 2021 წლის 03 ნოემბრის შეფასებით, პათიმრის მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურია და გადაუდებელ ჰოსპიტალიზაციას არ საჭიროებს. ამავე დასკვნის მიხედვით, სასიცოცხლო მაჩვენებლები სტაბილურია, ჩატარებული ძირითადი ლაბორატორიული კვლევების შედეგები ნორმის ფარგლებშია. პათიმარს ყოველდღიურად უტარდება კონსილიუმის მიერ რეკომენდირებული ლაბორატორიული კვლევები და უგრძელდება შესაბამისი მკურნალობა.

7) როგორც უკვე აღინიშნა, კონსილიუმის 2021 წლის 03 ნოემბრის შეფასებით, პათიმრის მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურია და გადაუდებელ ჰოსპიტალიზაციას არ საჭიროებს. პათიმარმა საბანკო ბარათის დამზადებისთანავე შეიძინა საკვები პროდუქტები. გარდა აღნიშნულისა, მოგვიანებით ის დათანხმდა და მიიღო სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტები, მათ შორის, შერეული სახეობის ფაფები და ნატურალური წვენები. აგრეთვე, მიხეილ სააკაშვილი იღებს ექიმების მიერ დანიშნულ პრეპარატებს.

8) დღეის მდგომარეობით, პათიმრის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის აუცილებლობა არ არსებობს, მას ადეკვატური სამედიცინო მომსახურება მიეწოდება N12 პენიტენციურ დაწესებულებაში, მისი სასიცოცხლო მაჩვენებლები არის ნორმაში, მიხეილ სააკაშვილი იმყოფება კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ, უზრუნველყოფილია ყველა საჭირო სამედიცინო სერვისითა თუ მედიკამენტით.

9) პათიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაძლო გართულებების რისკების შესწავლისა და მოქმედების გეგმის დასახვის მიზნით შექმნილი ერთობლივი კონსილიუმი მუდმივად ახორციელებს სამედიცინო დაკვირვებას შიშშილობის პერიოდში პათიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, აფასებს შიშშილობის შესაძლო რისკებს, ადგენს შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობის საჭიროებას, რასაც ახორციელებენ N12 პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო პუნქტის თანამშრომლები.

10) კონკრეტული მასალების დეტალური ანალიზი შესაძლოა განხორციელდეს შესაბამისი თანხმობის საფუძველზე.

11) N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება წარმოადგენს „C“ შერეული ტიპის დაწესებულებას, რომელიც სრულად აკმაყოფილებს სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ საერთო სანებართვო პირობებს. აღნიშნული დაწესებულება იზოლირებულია და მასში სრულად უზრუნველყოფილია პათიმრის უსაფრთხოება და სხვა უფლებების დაცვა.

პატივისცემით,

